ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის თაობა ბერნჰარდ შლინკის რომანში *შვილიშვილი*

ქრისტინე ბოჭორიშვილი
kristine.bochorishvili@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთასი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.09

ბერნჰარდ შლინკის რომანი „შვილიშვილი“ (2021) გამორჩეულია მეორე მსოფლიო ომისშემდგომი თაობის გამოცდილების ორიგინალური მხატვრული ინტერპრეტაციით. ნაშრომში გაანალიზებულია ისეთ მნიშვნელოვან თემები, როგორიცაა დანაშაული, სასჯელი, სამართალი და მორალი, თაობათაშორისი კონფლიქტები და ისტორიული მეხსიერება, და აჩვენებს რა მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი სოციალური და ისტორიული კონტექსტის გავლენას ინდივიდსა და საზოგადოებაზე. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი სიღრმისეულად იკვლევს ბერნჰარდ შლინკის უახლეს ნაწარმოებს შვილიშვილი. ამავდროულად ნაშრომი განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, თუ როგორ გარდაქმნის ავტორი ისტორიულ რეალობას და ქმნის მის ორიგინალურ, მორალურად დატვირთულ მხატვრულ ინტერპრეტაციას, რაც თანამედროვე გერმანული იდენტობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საკვანძო სიტყვები: *დანაშაული, სასჯელი, სამართალი, მორალი*

ბერნჰარდ შლინკის *შვილიშვილი* (2021) მწერლის ერთ-ერთი ბოლო რომანია, რომელშიც ავტორი კვლავ უბრუნდება იმ სოციალურ საკითხებს, რომლებიც მისი შემოქმედების მთავარ თემატურ ბირთვს წარმოადგენს. რომანში განსაკუთრებული სიმძაფრით იკვეთება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: დანაშაული და სასჯელი, სამართალი და მორალი, თაობათაშორისი კონფლიქტები, ისტორიული მეხსიერების როლი და მნიშვნელობა, მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის თაობის მტკივნეული გამოცდილება, წარსულის რეფლექსია და სხვ.

მრავალ პრობლემათა შორის, რომლებიც გულდასმით გაანალიზებას საჭიროებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის თაობის გამოცდილება. ჩვენს მიზანს წარმოადგენს ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის თეორიულ

ნაშრომებზე დაყრდნობით მეორე მსოფლიო ომისშემდგომი თაობის მხატვრული ტრანსფორმაციის სიღრმისეული ანალიზი ბერნჰარდ შლინკის რომანში *შვილიშვილი*. ასევე გვინდა ვუჩვენოთ, როგორ ახდენს ავტორი ისტორიული საერთო სურათის ორიგინალურ მხატვრულ ინტერპრეტაციას.

შვილიშვილი შექმნილია გერმანიის უახლესი ისტორიული და სოციალური ვითარების ფონზე, რომელიც მოიცავს გერმანიის გაყოფისა და გაერთიანების პერიოდს და ასევე ეხმიანება თანამედროვე გერმანიის სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებს. ამ ისტორიულ კონტექსტში რომანში წარმოჩენილია როგორც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი თაობის მეხსიერებაში შემონახული პრობლემური და წინააღმდეგობრივი მემკვიდრეობა, რომლის გადაცემაც განსაზღვრავს როგორც თაობათაშორის ურთიერთობებს, ისე თანამედროვე გერმანული იდენტობის ფორმირებას.

მეოცე საუკუნის გერმანიის ისტორიის მიმოხილვისას ვხელმძღვანელობთ ჰელმუთ ნიურნბერგერის ნაშრომით *გერმანული ლიტერატურის ისტორია* (*Geschichte der deutschen Literatur* 1995); გერმანული ლიტერატურის ისტორიული ვითარების დეტალური გააზრებისთვის ვეყრდნობით ნუგეშა გაგნიძის წიგნს *ნარკვევები მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან* (*2017*). ამ ნაშრომებში არა მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მნიშვნელოვანი ავტორები და მათი ნამუშევრებია წარმოდგენილი, არამედ ეპოქის კულტურული და სოციალური მდგომარეობაც არის ნაჩვენები.

ბერნჰარდ შლინკის რომან *შვილიშვილის* გამოქვეყნების შემდეგ მრავლად დაიბეჭდა საგაზეთო სტატიები, რეცენზიები და პუბლიკაციები. რამდენიმე მათგანს ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათში ვხვდებით კრიტიკულ მოსაზრებებს რომანის სიუჟეტურ წყაროებსა და მხატვრულ სახეებზე. აღსანიშნავია ალექსანდრე კარმელეს სტატია „Bernhard Schlink: *Die Enkelin*“ (ბერნჰარდ შლინკის *შვილიშვილი*, 2021) და მარკუს ნოიერტის რეცენზია „Versuch einer nachgetragenen Zuneigung“ (მზრუნველობის დაგვიანებული გამოხატვის მცდელობა, 2022). ავტორები აღნიშნულ კრიტიკულ წერილებში აანალიზებენ რომანის მთავარ პრობლემურ საკითხებს: იზოლაცია, არეულობა, გდრ-ის დასასრული, რეპრესიები, შვილად აყვანა და ალკოჰოლიზმი.

კაროლა კრაუსე-რაიმის რეცენზია „Bernhard Schlink: *Die Enkelin*“ (ბერნჰარდ შლინკის *შვილიშვილი*, 2021) წარმოადგენს ორიგინალურ ლიტერატურულ ანალიზს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: ნაშრომის ავტორი აანალიზებს მთავარი პროტაგონისტის, ბირგიტის საიდუმლოს არსსა და მნიშვნელობას,

გვთავაზობს დანაშაულისა და ტკივილის სუბიექტურ ინტერპრეტაციას და ახასიათებს *შვილიშვილს* როგორც თანამედროვე, მორალურად აქტუალურ რომანს.

საყურადღებოა რომანში არსებული ავტობიოგრაფიული ელემენტები, რომლებიც გვეხმარება გავარკვიოთ, როგორ უკავშირდება ბერნჰარდ შლინკის ბიოგრაფია მის ლიტერატურულ ხედვას. იგი თავად იყო დაინტერესებული აღმოსავლეთ გერმანიის ისტორიით და თავისი თაობის დასავლეთ გერმანელების მსგავსად იმოგზაურა აღმოსავლეთ გერმანიაში. 1960-იან წლებში, ბერლინში სტუდენტობის პერიოდში ჩავიდა, რადგან კასპარის მსგავსად მთელი გერმანიის გაცნობა სურდა. მისი ინტერესის სფერო იყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ გერმანიაში გამოქვეყნებული ლიტერატურა. სტუდენტობის პერიოდი, აღმოსავლეთ ბერლინელი სტუდენტის სიყვარული და მისი დახმარება დასავლეთში გაქცევაში წარმოადგენს მწერლის პირად ისტორიას. შესაბამისად, რომანის მთავარი პროტაგონისტი კასპარი თავად ავტორის ალტერ ეგოა, რომელიც ცდილობს გაერკვეს წარსულში და დაიმკვიდროს ადგილი თანამედროვეობაში.

რომანის პირველი ნაწილი ფოკუსირებულია კასპარისა და ბირგიტის ურთიერთობაზე, მათი წარსულის მოგონებებზე და თანაცხოვრებაზე. აქ მკაფიოდ იკვეთება მეორე მსოფლიო ომისშემდგომი თაობის გამოცდილება: როგორც წარსულის მძიმე მემკვიდრეობა, ასევე პირადი არჩევანისა და თანაცხოვრების სირთულეები. მეორე ნაწილი აღწერს კასპარის მოგზაურობას აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ წარსული დღემდე ზემოქმედებს ადამიანების ურთიერთობებზე. ადგილობრივთა გამოცდილება, რომელიც ომის შემდგომ წარსულშია ჩარჩენილი, ნათლად გამოხატავს იმ სირთულეებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი თაობისთვის იყო დამახასიათებელი – წარსულის კონფლიქტები და პასუხისმგებლობის საკითხები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ხოლო ნაწარმოების მესამე ნაწილი ორიენტირებულია კასპარისა და ზიგრუნის ურთიერთობაზე. აქ აშკარაა, რომ წარსულის გააზრება და მორალური პასუხისმგებლობის აღქმა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც რამდენადაც აძლიერებს თაობათაშორის კავშირს, ამავდროულად აჩენს სირთულეებს. კასპარის როლი, რომანის მესამე ნაწილში შეუფასებლად დიდია. იგი წარმოადგენს ერთგვარ სიმბოლურ გზამკვლევს მომავალი თაობისთვის. ავტორი აჩვენებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გამოცდილება თაობათა ცნობიერებაში სიღრმისეულადაა გამჯდარი და მისი ცვლილება რთულ, მაგრამ აუცილებელ პროცესს წარმოადგენს.

ბირგიტი გამორჩეული და ძალიან საინტერესო პერსონაჟია არა მხოლოდ ინდივიდუალურ კონტექსტში, არამედ ოჯახური და სოციალური ფონის გათვალისწინებით, რომელიც აყალიბებს მის პიროვნებას. მისი ხასიათი, თავდაპირველად, სწორედ ოჯახის გავლენით ფორმირდება: ბებია, რომელიც თავისი გესლიანი ენით დაამახსოვრდა, დედა, რომელიც შეშინებული და შებოჭილი იყო და ცდილობდა, ისე მკაცრად აღეზარდა თავისი სამივე ქალიშვილი, როგორც მას მამა აღზრდიდა და დები: გიზელა, რომელსაც არაფერი შეშლია ცხოვრებაში, სწორი პროფესია აირჩია და სწორ კაცს გაჰყვა ცოლად და ჰელგა, რომელიც საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი და ყველას თავს არიდებდა.

შლინკის მცდელობა, ბირგიტი, თავისი ოჯახის ქალებისგან განსაკუთრებულად და აღმატებულად წარმოაჩინოს, ნამდვილად დასაფასებელია. ავტორის ეს ჩანაფიქრი ბირგიტს დამოუკიდებელ, ძლიერ და თვითმყოფად ინდივიდად წარმოაჩენს რომანში, რითაც ავტორი ხაზს უსვამს ინდივიდუალური განვითარების მნიშვნელობას რთულ ისტორიულ, ოჯახურ და სოციალურ კონტექსტში.

ბირგიტის ღრმა ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის მისი სიმტკიცე, გამორჩეული ინდივიდუალიზმი, ამავდროულად შიშები, ვნებები და სურვილები. მისი შინაგანი მონოლოგები და პასუხგაუცემელი შეკითხვები მკითხველს შესაძლებლობას აძლევს გააცნობიეროს, რომ ბირგიტის ქმედებები და გადაწყვეტილებები არ არის შემთხვევითი, ისინი ყოველთვის როგორც წარსულის ტრავმებთან, ისე მიმდინარე პრობლემებთან არის კავშირში.

ბირგიტის გადაწყვეტილება დატოვოს აღმოსავლეთ გერმანია და დაიწყოს ახალი ცხოვრება დასავლეთში, სიმბოლურად ასახავს იმ პერიოდის ახალგაზრდების სურვილს – გაიქცნენ მკაცრი სოციალისტური რეჟიმის მარწუხებისგან უკეთესი მომავლის იმედით.

კასპარ ვეტნერის სახით ავტორმა შექმნა უკიდურესად ემპათიური და მგრძნობიარე პროტაგონისტი, რომლსაც მკითხველი სიამოვნებით ეცნობა. ის წარმოადგენს მემარცხენე-ლიბერალურ, განათლებულ საშუალო კლასს, რომელიც განსაკუთრებით ტოლერანტული და მზრუნველია სხვების მიმართ. მისი ცხოვრება ორიენტირებულია პასუხისმგებლობაზე, სინდისსა და მისი ახლობლების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

> რამდენი ხნის წინ დაიწყო ბირგიტმა რომანის წერა?
> როდის დაიწყო? ექვსი, შვიდი იქნებ ათი წლის წინ? რას აკეთებდი?
> შენს სამუშაო ოთახში რომ გამოიკეტებოდი ხოლმე? გონებაში თხზავდი?
> ქაღალდზე წერდი, მერე კი ნაწერს ჭმუჭნიდი და აგდებდი?

ოცნებაში გაგეპარა წლები? (შლინკი 2024, 24-25)

ბირგიტი ლექსებს წერდა და ვიღაც უცნობს უყოყმანოდ უამბო, რომ წერდა – მას კი არა? ცხოვრებაზე, როგორც გაქცევაზე წერდა – განა ის არ დაეხმარა არა მხოლოდ გაქცევაში, არამედ ფეხის მოკიდებაშიც, დაფუძნებაში? (შლინკი 2024, 27)

ჩვენ მიერ სანიმუშოდ წარმოდგენილი ციტატები გვიჩვენებს კასპარ ვეტნერის სუბიექტურ ხედვას ბირგიტის ცხოვრებისა და შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც განპირობებულია შლინკის პერსონალური თხრობის პერსპექტივის საშუალებით. კითხვები, რომლებსაც კასპარი საკუთარ თავს უსვამს, მისი თვალით აანალიზებს ბირგიტის იდუმალ ფიგურას. შესაბამისად, მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ამბავს არა მოლოდ ნეიტრალური, ყველა მოვლენაზე თანაბრად ორიენტირებული, არამედ კასპარის ემპათიური, სუბიექტური აღქმით.

კასპარ ვეტნერის თავგადასავლები აღმოსავლეთ გერმანიაში და კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან გამოხატავს იმ დილემებს, რაც დგას მეორე მსოფლიო ომისშემდგომი თაობის წინაშე: როგორ გაუმკლავდნენ წარსულის მძიმე მემკვიდრეობას, როგორ შექმნან საკუთარი იდენტობა და როგორ დაიწყონ ურთიერთობა წარსულში ჩარჩენილ საზოგადოებასთან.

სიმბოლური და თემატური დატვირთვა აქვს რომანის სათაურს *შვილიშვილი*, რომლის საშუალებითაც კონკრეტული აქცენტი გაკეთებულია ოჯახის ახალგაზრდა თაობის წარმომაგენელზე. ზიგრუნი 14 წლის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული გოგონაა. იგი იზრდება ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებაში, რომელიც თაყვანს სცემს რუდოლფ ჰესს, უარყოფს ჰოლოკოსტს და ყველაფერ უცხოს. კასპარი ზიგრუნთან ურთიერთობით ეჭიდება ნაციონალ-სოციალისტების დოგმატურ იდეალიზმს, რომელიც გმობს ყველაფერს არაგერმანულს.

ზიგრუნი მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია. რომანში ზიგრუნი ტრანსფორმაციას სწორედ თავისი ნიჭის დახმარებით განიცდის, რომელიც მასში კასპარმა აღმოაჩინა. როგორც კასპარისთვის, ასევე ზიგრუნისთვის ეს ურთიერთობა ნიშნავს სრულიად ახალ სამყაროსთან შეხვედრას, რომელშიც თავდაპირველად მათ საერთო არაფერი აქვთ.

ძვირფასო ბაბუა,

გუშინ გულწრფელი ვიყავი. სიამოვნებით ვიცხოვრებდი შენთან,

დავუკრავდი და ერთ წელიწადში კონსერვატორიაში ჩავაბარებდი.
მიყვარხარ, ბაბუა. დიდი მადლობა პიანინოსთვის. საერთოდ ფორტეპიანოს ვგულისხმობ. ელექტროპიანინოსთვისაც დიდი მადლობა.
ჰო მართლა, შენი ჩემოდანი მიმაქვს, პატარა, შავი, გორგოლაჭებიანი.
ბევრი არაფერი მაქვს, ჩავეტევი. და კიდევ სამი წიგნი ავიღე გზისთვის –ნახავ რომლები.
ყველაფერი გავიგე, რაც მითხარი.
იღბალი მისურვე, ბაბუა. გეხვევი, ზიგრუნი (შლინკი 2024, 377-378).

ზიგრუნის წერილი ცხადჰყოფს კასპარის წარმატებულად განხორციელებულ ექსპერიმენტს. წერილი აერთიანებს სიყვარულის, მადლიერებისა და ნდობის ელემენტებს. რადიკალისტი, ხისტი და პრობლემური ზიგრუნისგან მივიღეთ ემპათიური, გულისხმიერი და სიახლეებით დაინტერესებული ახალგაზრდა.

ზიგრუნი აერთიანებს წარსულსა და მომავალს. იგი არის ერთგვარი სიმბოლო ახალი დასაწყისისა, ახალი თაობისა, რომელიც ცდილობს გადაწეროს წარსული, აღადგინოს მორალური ბალანსი და შექმნას უკეთესი მომავალი.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ბერნჰარდ შლინკის რომანი *შვილიშვილი* გერმანიის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და წინააღმდეგობრივ პერიოდს ეხმიანება. შლინკი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება რომანით *წამკითხველი* მოიპოვა, ერთგული რჩება თავისი თემატური არჩევანისა და თხრობის სტილის: ისტორია, როგორც ემოციური ფონი, მორალი, როგორც ძირითადი მოტივი და ენა, როგორც ზუსტი ინსტრუმენტი.

შლინკის რომანის სიღრმისეული ანალიზი აჩვენებს, რომ *შვილიშვილის* ისტორიული კონტექსი არა თეორიულად, არამედ უშუალოდ პერსონაჟების, მათი რთული ცხოვრებისეული არჩევანის, ტრავმის და კონფლიქტის მეშვეობით არის რომანში გაანალიზებული.

საკუთარი ცხოვრებისეული ფაქტებისა და გამოცდილების მხატვრული ტრანსფორმირებით შლინკი რეალისტურ ეფექტს და სიღრმეს სძენს თხრობას და ამით მკითხველის ნდობასაც იმსახურებს. ავტობიოგრაფიული ელემენტების სიმრავლით ის ქმნის პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს და უზრუნველყოფს მკითხველის ემოციურ ჩართულობას.

ბერნჰარდ შლინკის *შვილიშვილი* არა მხოლოდ თავისი მრავალფეროვანი სიუჟეტით, არამედ პერსონჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტებისა და მტკივეული ისტორიული თემების მგრძნობიარე

ასახვითაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას. რომანში ნათლად ჩანს, რომ ლიტერატურა და მუსიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდეოლოგიური ბარიერების გადალახვის საქმეში. ამავდროულად ეს ნაწარმოები აჟღერებს ავტორის მთავარ სათქმელს: ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თავის გაუმჯობესება რწმენით, სიყვარულითა და იმედით.

კასპარის, ბირგიტისა და ზიგრუნის ურთიერთობა არა მხოლოდ ოჯახურ სირთულეებს ასახავს, არამედ გლობალურ კონტექსტში აფიქრებს მკითხველს იდეოლოგიური დაპირისპირების შედეგებზე. რომანი შეგვახსენებს, რომ პოლიტიკური სისტემები თავის ზეგავლენას არ წყვეტენ მაშინაც კი, როცა ისინი ოფიციალურად ქრებიან. მათი კვალი რჩება ადამიანების ბიოგრაფიებში, მეხსიერებაში და პირად ისტორიებში.

ბერნჰარდ შლინკი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ლიტერატურას შეუძლია ისტორიის სათანადოდ წარმოჩენა არა მხოლოდ ზოგადი ფაქტების შეხსენებით, არამედ პირადი ისტორიების სიღრმისეული ანალიზით. ამის დასტურია *შვილიშვილი*, რომელშიც ავტორი ორიგინალურად აკავშირებს ერთმანეთთან ინდივიდის დრამასა და სოციალურ-პოლიტიკურ რეალობას.

ლიტერატურა

გაგნიძე, ნუგეშა. 2017. *ნარკვევები მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან Studien zur deutsschsprachigen Literatur nach dem Zweiten Weltkrieg.* თბილისი: სამშობლო.

კაკაბაძე, ნოდარ. 1964. *ნარკვევები მე-20 საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან.* თბილისი: ცოდნა.

შლინკი, ბერნჰარდ. 2024. *შვილიშვილი.* გერმანულიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ. თბილისი: ინტელექტი.

Carmele, Alexander. 2021. „Bernhard Schlink: *Die Enkelin*“ https://kommunikativeslesen.com/2021/11/28/bernhard-schlink-die-enkelin/ (25.10.2025)

Kraußе-Reim, Carola. 2021. *Die Enkelin* https://www.belletristik-couch.de/titel/6192.die-enkelin/ (21.10.2025).

Mayer,Christian.2021.„Maßlose Toleranz“, Süddeutsche Zeitung https://www.sueddeutsche.de/kultur/bernhard-schlink-die-enkelin-fdj-reichsbuerger-toleranz-1.5461821(21.10.2025).

Schnell, Ralf. 2001. „Deutsche Literature nach 1945“. In: *Deutsche Literaturgeschichte.* 6. Aufl. Stuttgart/Weimar: J.B. Metzler,S. 479-510.

Schlink, Bernhard. 2021. *Die Enkelin*. Zürich: Diogenes Verlag AG.
Nürnberger, Helmut .1995. *Geschichte der deutschen Literatur*. München: Bayerischer Schulbuch-Verlag.
Neuert, Marcus. 2022.„Versuch einer nachgetragenen Zuneigung“ https://literaturkritik.de/public/rezension.php?rez_id=28657 (01.11.2025).
Westphal, Dorothea. 2021. „Bernhard Schlink: *Die Enkelin* Mit Musik und Literatur gegen rechte Ideologie“ https://www.deutschlandfunkkultur.de/bernhard-schlink-die-enkelin-mit-musik-und-literatur-gegen-100.html (01.11.2025).

Literature and Literary Theory

The Post-World War II Generation in Bernhard Schlink's Novel *The Granddaughter*

Kristine Botchorishvili
kristine.bochorishvili@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutasi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.09

Bernhard Schlink's novel "The Granddaughter" (2021) is notable for its original artistic interpretation of the experience of the post-World War II generation. The work analyzes such important themes as crime, punishment, law and morality, intergenerational conflicts and historical memory, and shows the importance the author attaches to the influence of social and historical context on the individual and society. The scientific novelty of the work lies in the fact that it examines Bernhard Schlink's latest work, The Granddaughter in depth. At the same time, the work focuses on how the author transforms historical reality and creates its original, morally charged artistic interpretation, which plays an important role in the formation of modern German identity.

Keywords: *crime, punishment, law, morality*

Bernhard Schlink's *The Granddaughter* (2021) is one of the writer's last novels, in which the author once again returns to the social issues that are the main thematic core of his work. The novel highlights with particular intensity

such problems as: crime and punishment, justice and morality, intergenerational conflicts, the role and importance of historical memory, the painful experience of the post-World War II generation, reflection on the past, etc.

Among the many problems that require careful analysis, one of the most important is the experience of the post-World War II generation. Our goal is to carry out a comprehensive analysis of the artistic transformation of the post-World War II generation in Bernhard Schlink's novel *The Granddaughter*, based on theoretical works of literary criticism. We also want to show how the author gives an original artistic interpretation to the overall historical picture.

The Granddaughter is set against the background of Germany's most recent historical and social context, spanning the period of German division and reunification, and addressing the social and political challenges of contemporary Germany. Within this historical context, the novel presents both the problematic and contradictory legacy preserved in the memory of the post-World War II generation, the transmission of which determines both intergenerational relations and the formation of modern German identity.

In reviewing the history of twentieth-century Germany, we are guided by Helmut Nürnberger's work *History of German Literature* (1995); for a detailed understanding of the historical situation of German literature, we rely on Nugesha Gagnidze's book Essays from *German-Language Literature of the Post-World War II Period* (2017). These works not only present important authors and their works of the second half of the twentieth century, but also show the cultural and social situation of the era.

After the publication of Bernhard Schlink's novel The Granddaughter, a large number of newspaper articles, reviews, and publications have been published. Several of them are of particular importance for our research. In them, we find critical opinions on the plot and artistic figures of the novel. For example: Alexander Carmele's article „Bernhard Schlink: Die Enkelin " (Bernhard Schlink's Granddaughter,2021) and Markus Neuert's review „Versuch einer nachgetragenen Zuneigung" (An Attempt at a delayed Expression of Affection, 2022). In these critical letters, the authors analyze the novel's main problematic issues: isolation, disorder, the end of the GDR, repression, adoption, and alcoholism.

Carola Krause-Reim's review of „Bernhard Schlink: Die Enkelin" (Bernhard Schlink's Granddaughter, 2021) is an original literary analysis that combines several important aspects: the author of the work analyzes the essence and meaning of the main protagonist, Birgit, the secret, offers a subjective interpretation of guilt and pain, and characterizes The Granddaughter as a modern, morally relevant novel.

The novel also contains autobiographical elements that help us understand how Bernhard Schlink's biography relates to his literary vision. Bernhard Schlink himself was interested in the history of East Germany and, like many West Germans of his generation, traveled to East Germany. He came to Berlin as a student in the 1960s because, like Kaspar, he wanted to get to know all of Germany. His field of interest was literature published in both West and East Germany. His student years, his love for an East Berlin student, and his help in escaping to the West constitute the writer's personal story. Accordingly, the main protagonist of the novel, Kaspar, is the author's alter ego, who is trying to understand the past and establish his place in the present.

The first part of the novel focuses on the relationship between Kaspar and Birgit, their memories of the past, and their coexistence. Here, the experience of the post-World War II generation is clearly visible: both the heavy legacy of the past and the difficulties of personal choices and coexistence. The second part describes Kaspar's journey to East Germany, where it is clearly seen that the past still affects people's relationships. The experience of the locals, who are stuck in the past after the war, clearly expresses the difficulties that were characteristic of the post-World War II generation - conflicts of the past and issues of responsibility that are passed down from generation to generation. And the third part of the work focuses on the relationship between Kaspar and Sigrun. Here it is clear that understanding the past and the perception of moral responsibility is a rather difficult and long process, which, as much as it strengthens the connection between generations, at the same time creates difficulties. Kaspar's role in the third part of the novel is of fundamental importance. It represents a kind of symbolic guide for the next generation. The author shows that the post-World War II experience is deeply rooted in the consciousness of generations and its change is a difficult but necessary process.

Birgit is a unique and very interesting character not only in the individual context, but also in the family and social background that shapes her personality. Her character is initially shaped by the influence of her family: her grandmother, who was remembered for her slangy language, her mother, who was frightened and restrained and tried to raise her three daughters as strictly as her father raised her, and her sisters: Gisela, who never failed in life, chose the right profession and married the right man, and Helga, who was withdrawn and avoided everyone.

Schlink's attempt to present Birgit as special and superior to the women in her family is truly commendable. This idea of the author presents Birgit as an independent, strong and self-existent individual in the novel, thereby

emphasizing the importance of individual development in a complex historical, family and social context.

Birgit's deep psychological portrait is created by her strength, distinctive individualism, and at the same time her fears, passions and desires. Her inner monologues and unanswered questions allow the reader to understand that Birgit's actions and decisions are not accidental, they are always connected to both past traumas and current problems.

Birgit's decision to leave East Germany and start a new life in the West symbolizes the desire of young people of that time to escape the harsh conditions of the socialist regime in the hope of a better future.

In Kaspar Wettner, the author has created an extremely empathetic and sensitive protagonist, the reader will enjoy getting to know. He represents a left-liberal, educated middle class who is particularly tolerant and caring towards others. His life is focused on responsibility, conscience and ensuring the well-being of his loved ones.

> How long ago did Birgit start writing the novel?
> When did she start? Six, seven, maybe ten years ago? What did you do?
> Did you lock yourself in your study? Did you write in your mind? Did you write on paper, then crumple up and throw it away?
> Did you spend years in your dreams? (Schlink 2024, 24-25)
> Birgit wrote poems and told a stranger without hesitation that she was writing – not to him? She wrote about life as well as about escape – didn't he help her not only escape but also gain a foothold, establish herself? (Schlink 2024, 27)

The quotes we have presented as examples show Kaspar Wettner's subjective view of Birgit's life and inner world, which is conditioned by the perspective of Schlink's personal narrative. The questions that Kaspar asks himself analyze Birgit's mysterious figure through his eyes. Accordingly, the reader is given the opportunity to get acquainted with the story not from a purely neutral, equally focused on all events, but from Kaspar's empathetic, subjective perception.

Kaspar Wettner's adventures in East Germany and his contact with the local population express the dilemmas facing the post-World War II generation: how to cope with the heavy legacy of the past, how to create their own identity, and how to begin to relate to a society stuck in the past.

The title of the novel, *The Granddaughter*, has a symbolic and thematic meaning, through which a specific emphasis is placed on a representative of the younger generation of the family. Sigrun is a 14-year-old girl gifted with musical

talent. She grows up in a society influenced by the ideology of National Socialism, which worships Rudolf Hess, denies the Holocaust, and everything foreign. Through his relationship with Sigrun, Kaspar confronts the rigid idealism of the National Socialists, which rejects anything un-German.

Sigrun is a representative of the younger generation after World War II. In the novel, Sigrun undergoes a transformation thanks to his talent, which Kaspar discovers in him. For both Kaspar and Sigrun, this relationship means encountering a completely new world, in which they initially have nothing in common.

> Dear Grandpa,
> Yesterday I was honest. I would gladly live with you, play with you, and in a year I would enter the conservatory.
> I love you, Grandpa. Thank you very much for the piano. I mean the piano in general. Thank you very much for the electric piano too.
> Yes, indeed, I am bringing your suitcase, small, black, with wheels.
> I don't have much, I'll pack it. And I took three more books for the trip – you'll see which ones.
> I understood everything you told me.
> Wish you luck, Grandpa. I hug you, Sigrun (Schlink 2024, 377-378).

Sigrun's letter reveals Kaspar's successful experiment. The letter combines elements of love, gratitude, and trust. From the radical, rigid, and troubled Sigrun, we have an empathetic, caring, and curious young man.

Sigrun combines the past and the future. She is a kind of symbol of a new beginning, a new generation that is trying to rewrite the past, restore moral balance, and create a better future.

As a result of our research, we have determined that Bernhard Schlink's novel *The Granddaughter* addresses one of the most difficult and contradictory periods in recent German history. Schlink, who has gained international recognition with his novel *The Reader*, remains faithful to his thematic choices and narrative style: history as an emotional background, morality as a central motive, and language as a precise instrument.

A comprehensive analysis of Schlink's novel shows that the historical context of *The Granddaughter* is analyzed in the novel not theoretically, but directly through the characters, their difficult life choices, trauma, and conflict.

By transforming the facts and experiences of his own life, Schlink adds a realistic effect and depth to the narrative, and thus earns the reader's trust. With an abundance of autobiographical elements, he creates deep psychological

portraits of the characters and ensures the emotional involvement of the reader.

Bernhard Schlink's *The Granddaughter* attracts the reader's attention not only with its diverse plot, but also with its sensitive depiction of the psychological portraits of the characters and painful historical themes. The novel clearly shows that literature and music play an important role in overcoming ideological barriers. At the same time, this work echoes the author's main message: people can improve themselves through faith, love, and hope.

The relationship between Kaspar, Birgit and Sigrun not only reflects family difficulties, but also makes the reader think about the consequences of ideological confrontation in a global context. The novel reminds us that political systems do not cease to have an impact even when they officially disappear. Their traces remain in people's biographies, memories and personal stories.

Bernhard Schlink once again proves that literature can adequately present history not only by recalling general facts, but also by analyzing personal stories in depth. Proof of this is *The Granddaughter*, in which the author originally connects the drama of the individual with socio-political reality.